სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი

29 დეკემბერი 2021 წელი

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 18 იანვრის N 5 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის
ოქმი №1

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ხვედელიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ია ძებისაური – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსი;
ნიკო გიგოლაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი;
როსტომ თოლორდავა - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მთავარი ბუღალტერი;
ივანე კვიტაიშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების კოორდინატორი;
ზურაბი ხეცურიანი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების მენეჯერი;
ირინე სადრაძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების სპეციალისტი;

დღის წესრიგი:

1. სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება;
2. ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცება.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" პროგრამის ფარგლებში დასაქმებული უცხოელი მოხალისე მასწავლებლების ჯანმრთელობის დაზღვევის (CPV:66512200 - ჯანმრთელობის დაზღვევა) სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო დოკუმენტაცია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში მოძიებულ იქნა კომპანიები, ვისაც შესაძლოა ინტერესი გამოეხატა აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით. ორ შესაძლო პოტენციურ მომწოდებელს დაეგზავნა კვლევაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისი წერილი და დაზღვევის

ამსახველი დოკუმენტაცია. საბოლოოდ ბაზრის კვლევისას დაინტერესება გამოხატა ორმა პოტენციურმა მიმწოდებელმა, რომლებმაც წარმოადგინეს შემდეგი ფასი:

1. სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ირაო" - დაზღვევის საფასური 1 ადამიანზე - 38.00 (ოცდათვრამეტი) ლარი;
2. სს სადაზღვევო კომპანია „უნისონი" - დაზღვევის საფასური 1 ადამიანზე - 33.00 (ოცდაცამეტი) ლარი;

შესაბამისად სატენდერო კომისიამ იხელმძღვანელა სს სადაზღვევო კომპანია „უნისონი"-ს მიერ მოწოდებული ფასით და განისაზღვრა ტენდერის საორიენტაციო ღირებულება 19800 (ცხრამეტიათასათასრვაასი) ლარით;

კომისიის წევრებმა იმსჯელეს სატენდერო დოკუმენტაციითა და განცხადებით განსაზღვრული პირობების ირგვლივ.

აზრი გამოთქვეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი სახით სატენდერო განცხადება და დოკუმენტაცია მისაღებია.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ორი სამუშაო დღის ვადაში სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის განთავსების უზრუნველყოფა www.procurement.gov.ge-ზე.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:	დავით ხვედელიძე -
სატენდერო კომისიის წევრები:	ია ძებისაური -
	ნიკო გიგოლაშვილი -
	როსტომ თოლორდავა -
	ივანე კვიტაიშვილი -
სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:	ირინე სადრაძე -
	ზურაბი ხეცურიანი -